ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და ტურიზმის გეოგრაფია

ანა კალატოზიშვილი

ბელგიის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და ტურიზმის გეოგრაფიის ბაკალავის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვალერიან მელიქიძე

გეოგრაფიის დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია ბელგიის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მიმოხილვა. აქ გაეცნობით ძირითად ინფორმაციას ბელგიის შესახებ, როგორიცაა მდებარეობა, საზღვრები, მეზობელი ქვეყნები, ფართობი და სხვა მრავალი. ასევე აქ მოცემულია ინფორმაცია ქვეყნის წიაღისეულის, ტყის და წყლის რესურსების შესახებ, აღწერილია მიგრაცია, ემიგრაცია, ბუნებრივი სალდო, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის განხილვა და ა.შ. ნამუშევარში ასევე გაეცნობით ინფორმაციას ბელგიის ისტორიული განვითარების შესახებ 1950 წლიდან და უფრო ადრეული პერიოდიდან დღემდე განვლილი ცვლილებებზე. გაეცნობით პირველადი, მეორადი და მესამეული სექტორების ეკონომიკიკური განვითარების პროცესს. ნაშრომში განხილულია თუ რომელ საერთაშორისო ორგანიზაციებში შედის ბელგია და რა დამოკიდებულებაშია მათთან. ინფორმაციის ვიზუალური აღქმისთვის და უკეთ გაგებითვის წარმოდგენილია გრაფიკები, დიაგრამები და ცხრილები. ბელგიის სახელწიფოს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მიმოხილვის მეტი თვალსაჩინოებისთვსი განხილულია შედარება მეზობელი ქვეყნის კერძოდ, გერმანიის ძირითად მაჩვენებლებთან. ამ ნამუშევარით მსურს გარკვეული წარმოდგენა შეგიქმნათ ბელგიის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული ინფორმაციის შესახებ.

სარჩევი

შესავალი ..... გვ 4

თემა I. ქვეყნის ორგანიზაცია და მართვა..... გვ 5

1.1 ქვეყნის ფორმირების ისტორია..... გვ 5

1.2 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე..... გვ 8

თემა II. ქვეყნის ბუნებრივი რესუსების და პირობების სამეურნეო შეფასება..... გვ 9

თემა III. მოსახლეობა..... გვ 12

თემა IV. მეურნების ზოგადი მიმოხილვა..... გვ 17

4.1 ბელგიის ეკონომიკის ისტორიული განვითარება..... გვ 17

4.2 მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა და ფორმირება..... გვ 19

თემა V. მეურნეობის სექტორული ანალიზი..... გვ 21

5.1 პირველადი სექტორი..... გვ 21

5.2 მეორადი სექტორი..... გვ 23

5.3 მესამეული/მეოთხეული სექტორი..... გვ 24

თემა VI. ქვეყნის ადგილი გლობალურ სისტემებში და სტრუქტურებში..... გვ 26

გამოყენებული ლიტერატურა..... გვ 29

შესავალი

ბელგია არის ქვეყანა, რომელიც მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში. იგი ითვლება ევროპის ყველაზე პატარა და მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანად. ტერიტორიის ფართობია 30,528 კმ.კვ, ეს მაჩვენებელი დაახლოებით აშშ-ს ერთ-ერთი შტატის მერილენდის ტოლია. მოსახლეობა შეადგენს 11,2 მილონ ადამიანს (2016წ). ბელგია არის ფედერალური სახელმწიფო, რომელიც დაყოფილია სამ რეგიონად: ფრანკოფონური ვალონია სამხრეთით, ჰოლანდიურენოვანი ფლანდრია, ქვეყნის დედაქალაქი და ასევე უდიდესი ქალაქი ბრიუსელი. ქვეყანა არის მრავალენოვანი, სადაც ფრანგულ და ჰოლანდიურენოვანი ხალხი ჭარბობს, ასევე არის გერმანულენოვანი დასახლება ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

ბელგიის სახმელეთო საზღვრის სიგრძე მეზობელ ქვეყნებთნ არის 1385 კმ (860 მილ), მოსაზღვრე ქვეყნებია: აღმოსავლეთით გერმანია, ჩრდილოეთით ნიდერლანდები, სამხრეთით საფრანგეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთით ლუქსემბურგი. რაც შეეხება საზღვაო ტერიტორიას ბელგიას აქვს 60 კმ(40 მილ) სიგრძის სანაპირო ხაზი ჩრდილოეთის ზღვაზე. ბელგიას გააჩნია ზომიერი ზღვიური კლიმატი, რომელიც გამოწვეულია ატლანტის ოკეანის ჰაერის მასების გავლენით. სხვადასხვა ჰაერის მასების ხშირი ცვლილებების გამო, კლიმატიც განიცდის ცვალებადობას. აქ ზამთარი ნესტიანი და გრილია, ასევე იცის ხშირი წვიმებიც. რაც შეეხება ზაფხულს, იგი საკმაოდ რბილია. საშუალო წლიური ტემპრატურა 10˚c-ია.

ბელგია არის ევროპის ერთ-ერთი ინდუსტრიული და ურბანიზებული ქვეყანა. იგი გაწევრიანებულია საერთაშორისო ორგანიზაებში, როგორიცაა ბენილუქსი (ნიდერლანდებთან და ლუქსემბურგთან ერთდ), ევროკავშირი(EU) და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია(NATO).

სურ.1 ბელგიის პოლიტიკური რუკა

წყარო: (https://www.nationsonline.org/oneworld/belgium.htm)

თემა I

ქვეყნის ორგანიზაცია და მართვა

1.1 ქვეყნის ფორმირების ისტორია

ბელგია, მეცნიერების თქმით ეს სახელწოდება მომდინარეობს პორტო-კელტური სიტყვებიდან “belg” და “bolg”, რაც ბრაზისაგან გაბერილს ნიშნავს. სახელმწიფოს წარმოშობასთან დაკავშირებით იყო გაურკვევლობა მკვლევრებს შორის, მათ ვერ გაეგოთ რომელი ტომებისგან იყო წარმოშობილი ბელგია კელტური, გერმანული, თუ შერეული. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ბელგიელებმა იცოდნენ საკუთარი წარმოშობის შესახებ დაზუსტებით. ძვ.წ 53 წელს იულიუს კეისარმა დაიპყო ბელგიის ტომი და დაინახა, რომ გალის სხვა ტომებისგან შესამჩნევად განსხვავდებოდნენ თავიათი ენითა და ტრადიციებით. იულიუსი აღნიშნავდა ბელგიელების სიმამაცეს, მას 4 წელი დასჭირდა მათ დასაპყობად, დაპყრობის შემდეგ კი ბელგიელები ვერ შეეგუვნენ იმ ფაქტს, რომ მათი მიწები მიითვისეს და აჯანყდნენ. სამწუხაროდ აჯანყება წარუმატებლად დამთავრდა.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, შუა საუკუნეების დასაწყისში, დღევანდელი ბელგიის ტერიტორია საღვთო რომის იმპერიამ დაიმორჩილა, რაც მე-11, მე-12 საუკუნეებამდე გაგრძელდა. საღვთო რომის იმპერიის გავლენის შესუსტების შემდეგ, ბელგიის მიწები დაუცველი დარჩა, რაც კარგი შესაძლებლობა აღმოჩნდა ფრანგებისა და ინგლისელებისთვის მიწებზე გავლენის გასავრცელებლად. ამის შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში ბელგიური მიწები დაყოფილი იყო მცირე ფეოდალურ ნაწილებად, როგორიცა ფლანდრიის და ჰაინაუტის, ასვე ლიბურგისა და ბრაბანტის საჰერცოგოები. დაყოფილი მიწებიდან ყველაზე მდიდარი ფლანდირია იყო, რომელიც სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა. აქ იმპორტირდებოდა ინგლისური მატყლი და იქმნებოდა ქსოვილები. ასეთმა ვაჭრობამ განავითარა ქალაქები, როგორიცაა: ბრიუგესი, გენტი და იპრესი. მოგვიანებით 1815 წელს ვენის კონგრესზე დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებები, როცა ბელგიამ(სამხრეთ ნიდერლანდები) და ჩრდილოეთ ნიდერლანდებმა (ჰოლანდია) გადაწყვიტეს გაერთიანებულიყვნენ საერთო სახელმწიფოს შესაქმნელად, რომელსაც ლუი I მართავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლუის პოლიტიკა საკმაოდ კარგი იყო და ბელგიის ბურჟუაზიულ ნაწილს ეს მოსწონდა, ასევე იყო უკმაყოფილებაც. კათოლიკე მოსახლეობას არ მოსწონდა პროტესტანტი მეფე, ხოლო ლიბერალები მეტ თავისუფლებას მოითხოვდნენ. ლიბერალებმა და კათოლიკეებმა საერთო ძალებით დაიწყეს მოქმედება და მრავალი ინციდენტის შემდეგ 1830 წელს აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებს მხარს მოსახლეობა უჭერდა, ამიტომ ლუი I-მა ვერ შეძლო პროცესის შეჩერება, რასაც საბოლოოდ მოყვა ბელგიის გამოყოფა ჩრდილოეთ ნიდერლანდებისგან. დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1830 წლის 4 ოტომბერს, ამავე წლის 3 ნოემბერს ეროვნული კონგრესი აირჩა 30 000 ამომრჩევლის მიერ. 1831 წლის თებერვალში მიიღეს კონსტიტუცია, რომელიც იმ დროისთვის მოწინავედ ითვლებოდა. 1830-1908 წლებში ლონდოდნში მიმდინარეობდა დიპლომატიური კონფერენციები. დიდმა სახელმწიფოებმა აღიარეს ბელგიის გამოცალკევება (ჩრდილოეთ) ნიდერლანდებისგან. ბელგიის პირველი მეფე გახდა ლეოპოლდ I საქსე-კობურგელი (1831-1065 წ), მის შემდეგ კი მისი ვაჟი ლეოპოლდ II მართავდა. მათი მეფობის დროს ბელგია გახდა მეორე

უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული ძალა. ორივე მეფეს სურდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარება კოლონიზაციის დახმარებით, თუმცა ეს გეგმა ვერ განახორციელეს მე-19 საუკუნის მიწურულამდე. სწორედ ამ პერიოდში ლეოპოლდ II-მ მხარი დაუჭირა ჰენრი სტენლის ექსპედიციებს კონგოს აუზში. ლეოპოლდმა შეთანხმება დადო კონგოს მმართველებთან, რის შედეგადაც შეიქმნა სახელმწიფო კონფედერაცია. ლეოპოლდ II ითვლებოდა ცენტრალური აფრიკის ტერიტორიების პირველი ოკუპანტად, ამიტომ პარლამენტი დიდად არ ერეოდა მეფის საქმეებში. შემდგომში ლეოპოლდმა ბერლინის კონფერენციაზე 1884 ძლიერი პოზიცია დაიკავა, მომდევნო წელს კი მიიღო თანხმობა გამხდარიყო კონგოს მეთაური. საბოლოოდ 1908 წელს კონგოს მეთაურობა ბელგიის სახელმწიფოს გადაეცა.

მიუხედავად იმისა, რომ ბელგია დამოუკიდებელი ქვეყანა იყო დიდი სახელმწიფოები აიძულებდენენ ნეიტრალური დარჩენილიყო, მაგრამ ამან ვერ აარიდა პირველი მსოფლიო ომში ჩართვისაგან. მცირე ჯარის მიუხედავად, ბელგიელებმა შეძლეს შეეჩერებინათ გერმანელები მდინარე ისერთან, ამ დროს მეფე ალბერტ I გახლდათ (1909-1934). ომის გამო ძლიერ დაზარალდა ბელგიის ეკონომიკა და განადგურდა ისერის რაიონი, გავლენა იქონია საერთაშორისო კრიზისმაც. არენაზე ადოლფ ჰიტლერის გამოჩენამ ქვეყანა ისევ საფრთხის წინაშე დააყენა. ბელგიამ 1936 წლიდან ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, ისევე როგორც ამას 1914-1918 წლებში ცდილობდა, მაგრამ 1940 წლის 10 მაისს გერმანია კვლავ შეიჭრა ბელგიაში. რამოდენიმე დღის შემდეგ ბელგიის იმდროინდელმა მეფემ ლეოპოლდ III-მ კაპიტულაცია გამოაცხადა, რასაც მთავობის უკმაყოფილება და მოგვიანებით მეფის გადადგომა მოყვა. ოთხი სახელმწიფო რეფორმის შედეგად ბელგია გარდაიქმნა ფედერალურ სახელმწიფოდ. ბელგიის პოლიტიკურ არენაზე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გაზრდილ ინტერნაციონალიზაციას და ეკონომიკურ პრობლემებს. ბელგიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბენილუქსისა(ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი) და ნატოს შექმნასთან დაკავშირებით. ბელგია, როგორც გაეროს წევრი და მსოფლიო მშვიდობის დამცველი ქვეყანა ხშირად აგზავნის საკუთარ ჯარებს სამშვიდობო მისიებში.

1.2 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე

ბელგია, ისევე როგორც გაერთიანებული სამეფო წარმოადგენს ფედერალურ კონსტიტუციურ მონარქიას, სადაც მეფე არის სახელმწიფოს მეთაური, ხოლო პრემიერმინისტრი მთავრობის მეთაური მრავალპარტიულ სისტემაში. ქვეყნის მიმართებაში გადაწყვეტილების მიღება არ არის ცენტრალიზებული, მაგრამ იყოფა მმართველობის სამ დონედ: 3 ენაზე დაფუძნებულ თემს(ფრანგული, გერმანული და ფლამანდრიული), ფედერალურ მთავრობას და სამ რეგიონს(ბროუსელი,ფლანდირია, ვალონია)შორის. ეს ყველა თანსაწორია იურიდიულად, თუმცა გააჩნიათ განსხავავებული პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები სხვადასხვა სფეროში. ბელგიის მონარქი გახლავთ მეფე ფილიპი(2013-დღემდე), ხოლო პრემიერმინისტრია ალექსანდერ დე კრო(2020-დღემდე).



სურ 2: ბელგიის რეგიონები

წყარო:(https://www.mappr.co/counties/belgium-regions/)

ბელგიას გააჩნია თავისუფალი საწარმოო ეკონომიკა, მისი მთლიანი შიდა პროდუქტის(მშპ) უდიდესი ნაწილი მომსახურების სფეროზეა დამოკიდებული. ბელგიის ეკონომიკა განუყოფელია ევროპისაგან, იგი სხვადასხვა ორგანიზაციების წევრია, როგორიცაა: ბელგია-ლუქსემბურგის ეკონომიკური კავშირი (BLEU), ევროკავშირი და ბენილუქსისი ეკონომიკური კავშირი. ბელგიის მნიშნელოვანი ნაბიჯი ეკონომიკის

ინტერნაციონალიზაციაში გადადგა 1952 წელს, როცა ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ქარტიის წევრი გახდა. ქვეყანა ასევე გახდა ევროპის სავალუტო კავშირის წევრი(1999 წ), რის შედეგადაც გზა გაუხსნა ევროპის სავალუტო გაერთიანებას. ბელგიის ეკონომიკა ასევე დამოკიდებულია ექსპორტზე. მის მნიშვნელოვან სექტორებს მოიცავს ვაჭრობა, მრეწველობა, ტრანსპორტის/განათლების და კვების მრეწველობა. ბელგიის სხავდასხვა რეგიონები სვადასხვა სექტორზეა ორიენტირებული, მაგ: ფინანსურ და ადმინისტრაციულ სერვისებსზე პასუხისმგებელია ბრიუსელი(რეგიონი და დედაქალაქი), ვალონია და ფლანდირია კი დამოკიდებულნი არიან მრეწველობაზე გლობალური მაშტაბებით.

თემა II

ქვეყნის ბუნებრივი რესუსების და პირობების სამეურნეო შეფასება

ფიზიკურ- გეოგრაფიული მდგომარეობით ბელგიის ძირითადი ტერიტორია ბრტყელია, აქ მთაგორიან ადგილს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, არდენებში შეხვდებით. ბელგიაში გამოყოფილია სამი ძირითადი რეგიონი: ჩრდილოეთ სანაპირო დაბლობი, რომელსაც მეორენაირად „დაბალ ბელგიას“ უწოდებენ (0-100მ), ცენტრალური პლატო ანუ „შუა ბელგია“(100-200მ) და სამხრეთით არდენების პლატო ასევე წოდებული, როგორც „მაღალი ბელგია“(200-300მ). ქვეყნის უმაღლესი წერტილია Signal de Botrange, იგი ზღვის დონიდან 694მ-ზე მდებარეობს ვალონიის მაღალ ნაწილში. ბელგია თავისი მცირე ზომის მიუხედავად საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ქვეყანას აქვს უხვად ნაყოფიერი მიწები, რომლის 26% გამოიყენება სოფლის მეურნეობისთვის. ზომიერი კლიმატი ხელს უწყობს ფერმერებს უხვმოსავლინობაში, ამიტომ ფერმერების უმეტესობა ფართო მაშტაბებს იპყრობს. ბელგია გახლავთ სოფლის მეურნეობის ძირითადი მწარმოებელი, როგორიცაა: ხილი, ბოსტნეული, ქერი, თამბაქო, რძის პროდუქტები და ა.შ. ქვეყანა მისი წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნიკას, რამაც გაზარდა მოსავლინობა. მოსავალი

რეალიზდება ბელგიაში და ასევე იმპორტიდება მეზობელ ქვეყნებში. ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა უდრის 2%-ს.

მე-19 და მე-20 საუკუნეებში ბელგიამ დაიწყო ქვანახშირის მოპოვება, მისი ძირითადი მოპოვების არეალი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი იყო. ქვანახშირი იყო ის ძირითადი მონაპოვარი, რაც მე-19 სუკუნეში ბელგიის ინდუსტრიას ამუშავებდა. მოგვიანებით 2016 წელს ბელგიამ სხვა ევროპულ ქვეყნებთან ერთად შეწყვიტა ქვანახშირის მოპოვება, რათა შეემცირებინა გლობალური დათბობის ეფექტი. ბელგიის ჩრდილოეთ ნაწილში მოიპოვება კარბონატები, როგორიცაა კირქვა, დოლომიტი და სიდერიტი. კარბონატები გამოიყენება სხვადასხვა მრეწველობაში: რკინის მოპოვება, სამშენებლო სექტორი, გაზიანი სასმელები და ა.შ. ეს წიაღისეული ძირითადად გამოიყენება ადგილობრივად, თუმცა მისი მცირე ნაწილი გადის ექსპორტზე სხვა ქვეყნებში, ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა ტანზანია. სილიციუმს ბელგიაში ჯერ კიდევ მე-19 სუკუნიიდან მოიპოვებენ. 2000 წელს ქვეყანამ აწარმოა ოთხი ტონა სილიციუმი. მსოფლიოში უმსხვილესი სილიციუმის მწარმოებელი კომპანია Evonik სწორედ ბელგიაში საქმიანობს. სილიციუმის გამოყენება ხდება სხვადასხვა სექტორში, მაგ: სამშენებლო ინდუსტრია, სტომატოლოგიური პროდუქტები და ადჰეზივები. აქ წარმოებული სილიციუმი ექსპორტზე მთელ მსოფლიოში გადის.

ბელგია აწარმოებს ტყვიას და თუთიასაც, მათი მოპოვება მიმდინარეობს მე-14 საუკუნიდან. ქვეყანაში არის თუთია-ნირსტარის მსოფლიო მწარმოებელი. 1946 წელს დაიხურა ტყვია-თუთიის წარმოება, რადგან პრობლემა შეიქმნა წყალგაუმტარი და ცეცხლგამძლე მადნების გამო. 2018 წლის მესამე კვვარტალში ქვეყანამ აწარმოა 55 000 მეტრი ტონა ტყვია და 27 000 მეტრი ტონა თუთია. ბელგიის საზღვრებში ასევე მოიპოვება რკინა და ფოლადი, ამასთან ომამდე პერიოდში ქვეყანა ევროპის მაშტაბით ერთ-ერთ მსხვილ მწარმოებლად ითვლებოდა. ბოლო ათწლეულში გაიზარდა რკინის და ფოლადის წარმოება, რაც გამოწვეულია ფოლადზე მოთხოვნის გაზრდით. 2017 წლის მონაცემებით ბელგია ფოლადის მწარმოებლებს შორის მე-8 ადგილს იკავებდა. ამ წელს ქვეყანამ 5 მილიონი ტონა ფოლადი გაიტანა. ასევე ფოლადი ექსპორტირდება 160-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორისაა გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი და ა.შ.

ევროპის ამ პატარა ქვეყანაში დიდი ნაძვის ტყეებია, ხეები ძირითადად არდენების მთიან რეგიონში იზრდება. ბელგიის ერთ-ერთი ცნობილი ტყეა „ლურჯი ტყე“, რომელიც

დედაქალაქ ბრიუსელთან ახლოს მდებარეობს. ტყეების უმრავლესობა განფენილია დაცულ ტერიტორიაზე. ლამაზი ტყეები იზიდავენ ტურისტებს, რაც ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს. ბელგიის ტყე წარმოადგენს ფლორისა და ფაუნის უსაფრთხო ჰაბიტატს. ბელგიისთვის მისი ტყეები წარმოადგენს საკვების და წამლების წყაროს, ასევე ტყიდან მოპოვებული ხეები წარმოადგენს მრეწველობის მთვარ შემადგენელ ნაწილს. აქ წარმოებული ხის ნაწილები ექსპორტირებულია ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

ბელგიის მცირე ტერიტორიისა და მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის მიუხედავად, ქვეყანა არ განიცდის წყლის ნაკლებობას. წყლის რესურსები განაწილებულია 5 მთავარ მდინარეს შორის, აქედან ორი უმთავრესი მდინარეა მაასი(ფრანგულად როგორც Meuse) და შელდა‌t(ფრანგული დასახელება Escaut), ორივე მათგანი სათავეს იღებს საფრანგეთში და ჩაედინება ჩრდილოეთ ზღვაში ნიდერლანდებთან. ამ ორ ფართო მდინარეთა ქსელი წარმოადგენს ქვეყნის ინდუსტრიული და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს. ბელგიის სანაოსნო გზების სიგრძე წარმოადგენს 2000 კმ-ზე მეტს და აქედან 1500 კმ-ზე მეტი დღემდე კომერციულად გამოიყენება. ამან ანტვერპენი მეორე უდიდეს პორტად აქცია.

სურ.3 ბელგიის მინერალური რესურსები

წყარო:(https://www.mapsofworld.com/belgium/belgium-mineral-map.html)



სურ.4 ბელგიის მდინარეები

წყარო:(https://www.mapsofworld.com/belgium/belgium-river-map.html)

თემა III

მოსახლეობა

ბელგია ევროპის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და ამავდროულად მცირე ზომის ქვეყანად ითვლება, თუმცა მისი მოსახლეობა ზრდას მაინც განაგრძობს, განსაკუთრებით ბოლო წლების მანძილზე. 2019 წლის მონაცემებით ბელგიის მოსახლეობა 11 431 406 მილიონ ადამიანს შეადგენდა, სიმჭიდროვე 375 მოსახლე კვ.კმ-ზე. სიმჭიდროვე განსხვავდებოდა რეგიონების მიხედვით, ვალონიის რეგონში 21 მოსახლე იყო კვ.კმ-ზე, ფლანდირიაში 485 მოსახლე კვ.კმ-ზე, ხოლო ბრიუსელში რომელიც სულ 161 კვ.კმ-ს შეადგენს 7440 მოსახლე ერთ კვადრატულ კილომეტრზე. 2022 წელს ასევე აღინიშნებოდა მოსახლეობის ზრდა 1,73%-ით ფლანდირიის რეგიონში. ამ წელს ბუნებრივი ბალანსი უარყოფითი იყო(-4244), ბუნებრივი ბალანსი უარყოფითი იყო 2020 წელსაც COVID 19-ის

გამო(-13.111), ასევე 2022 წელს დაფიქსირდა 63 284 დაბადება და 67 528 გარდაცვალება. ამავე წელს საერთაშორისო მიგრაციის ბალანსი დადებითი იყო(+ 64,589), ამ პერიოდში დაფიქსირდა 118 704 იმიგრაცია და 54 115 ემიგრაცია. იმიგრაციის მაღალი დონე გამოწვეულია უკრაინელების ჩამოსახლებით ომის პერიოდში. ზოგადად 2022 წელს იმიგრანტების რაოდენობა იყო 229 000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო აქედან უკრაინის მოქალაქე გახლდათ 63 000-ზე მეტი. 1992 წლიდან ბელგიის მოსახლეობა საშუალოდ იზრდება 52 000 ადამიანით, თუმცა ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 104 000-ით. საბოლოოდ 2023 წლის მონაცემებით ბელგიის მოსახლეობა 11, 697, 557 მილონს უდრის და წინა წელთან შედარებით 0.98%-ით არის გაზრდილი.

	2017	2018	2019	2020	2021	2022
დაბადებულთა რაოდენობა	119.102	117.800	117.103	113.739	17.914	113.593
გარდაცვლილთა რაოდენობა	109.629	110.645	108.745	126.850	122.850	116.380
ბუნებრივი ბალანსი	9.473	7.155	8.358	-13,111	5.623	-2.787

ცხრილი 1: შობადობა, სიკვდილიანობა და ბუნებრივი ბალანსი ბელგიაში 2017-2022წ(ავტორის მიერ)

	2017	2918	2019	2020	2021	2022
იმიგრაცია	163.918	166.894	174.591	144.169	165.534	233.629
ემიგრაცია	119.382	116.714	119.560	102.413	107.416	117.085
მიგრაციის სალდო	44,536	50.180	55.756	41.756	58.118	116.544

ცხრილი 2: საერაშორისო იმიგრაცია, ემიგრაცია და მიგრაციის სალდო ბელგიაში 2017-2022წ(ავტპრის მიერ)



დიაგრამა 1: მოსახლეობის ზრდა(ავტორის მიერ)

ბელგია, როგორც უკვე ავღნიშნეთ ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა, ეს აისახება მის სქესობრივ ასაკობრივ სტრუქტურაში. ქვეყნის საშუალო ასაკი ქალებში 84 წელია, მამაკაცებში კი 80. შობადობა ერთ ქალზე დაახლოებით ორი ბავშვია, ყოველ 1000 დაბადებულზე კი მხოლოდ 2 გარდაცვლილი ახალშობილია. სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდაზე დაყრდნობით ვიტყვი, რომ მოსახლეობის ასაკი ჭარბობს 25-დან 65 წლამდე, რაც მუშა მოსახლეობას გულისხმობს. ასევე პირამიდის მეშვეობით ვარკვევ, რომ ბელგიაში [1]შობადობის არცთუ დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერება. ევროპის ეს ქვეყანა ასევე გამოირჩევა ურბანიზაციის მაღალი დონითაც, ურბანიზაციის დონე 98%-ია 2022 წლის მონაცემებით. ყველაზე მაღალურბანიზებული ქალაქია ბრიუსელი(1.029.022), შემდეგ მას მოსდევს ანტვერპენი(459.805) და გენტი(231.493).

[1] დამატებითი წყარო
https://statbel.fgov.be/en/themes/population/structure-population#:~
https://www.worldometers.info/demographics/belgium-demographics/
https://www.populationpyramid.net/belgium/2020/



სურ 6:სქესობრივ-ასაკობრი პირამიდა

წყარო:(https://www.populationpyramid.net/belgium/2020/)

ბელგიის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა საკმაოდ მაღალია, 2023 წლის პირველ კვარტალში 20-64 წლის ადამიანების 72,1% იყო დასაქმებული. 2022 წელს ბოლოს იგივე მაჩვენებელი 72,3% იყო, ხოლო ამავე წლის დასაწყისში მონაცემები 71,1 %-უტოლდებდა. უმუშევრობის დონე დასტაბილურდა 5,7 %-ით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უმუშევრობის დონე გაზრდილია მამაკაცებში(6,4%), ხოლო ქალებში პირიქით მცირდება 5%-მდე. ასევე კლებულობს უმუშევრობა ახალგაზდებშიც, ბოლო კვარტალში 15.5%-იდან 14,4%-მდე შემცირდა. რაც შეეხება დასაქმების სტრუქტურას ბელგია აქაც მრავალმხრივია, 2017 წლის მონაცემებით მომსახურების სექტორში(მესამეული სექტორი) მოსახლეობის 42% იყო დასაქმებული. მომსახურების სფეროს მოსდევს არაკომერციული სექტორი(მეოთხეული), სადაც ბელგიელების 37% მუშაობს. აღსანიშნავია, რომ ქალების 53% სწორედ მეოთხეულ სექტორიში მოღვაწეობს, რაც შეეხებათ მამაკაცებს ისინი უპირატესობას მესამეულ სექტორს ანიჭებენ (45%). ბელგიის მოსახლეობის 20 % მუშაობს იდუსტრიულ სექტორში(მეორეული), აქ დასაქმებულთა 9 % შეადგენს ქალებს ხოლო 31% მამკაცებს.

მომუშავე მოსახლეობის ყველაზე მცირე ნაწილი მოიცავს სოფლის მეურნეობას და სამთო მოპოვებას(პირველადი სექტორი) სულ რაღაც 1%.



გრაფიკი 1: დასაქმების მაჩვენებელი ბელგიაში(2021-2023წ)

წყარო:(https://statbel.fgov.be/en/themes/work-training/labour-market/employment-and-unemployment)

ბელგია მრავალენოვანი ქვეყანაა მიუხედავად მისი მცირე ტერიტორიისა. აქ ძირითადი ენებია ფლამანდრიული, ფრანგული და გერმანული. ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა დაახლოებით 60 % (6,5 მილიონი) საუბრობს ჰოლანდიურად ანუ ფლამანდრიულად. ამ მოსახლეობის უმეტესობა ბელგიის ჩრდილოეთით ცხოვრობს ფლანდირიის რეგიონში. ქვეყნის ეს ნაწილი ესაზღვრება ჰოლანდიას, რასაც გავლენა აქვს ენობრივ კულტურაზე. ბელგიურ-ჰოლანდიური და წმინდა ჰოლანდიური ენები განსხვავდებიან აქცენტურად და ზოგ შემთხვევაში ბელგიურ-ჰოლანდიური ლექსიკა და იდიომები უნიკალურია. ბელგიის მეორე ყველაზე დიდი ენაა ფრანგული, დაახლოებით 45% (4,5 მილიონი ადამიანი) საუბრობს. ეს არის ვალონიის რეგიონი, რომელიც სამხრეთ მხარეში მდებარეოდს და ესაზღვრება საფრანგეთს. მოსახლეობის მცირე ნაწილი 1%(75000 ადამიანი) საუბრობს გერმანულად, ეს გამოწვეულია იმით, რომ ეს ნაწილი ბელგიას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიუერთდა. აქ ბელგიური გერმანული არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი

გერმანულისგან. რაც შეეხება ბრიუსელს აქ საუბრობენ, როგორც ჰოლანდიურად, ასევე ფრაჰგულად, თუმცა დროთა განმავლობაში ორივე ენაზე მოლაპარაკე ხალხი კლებულობს და ძირითდად ჰოლანდიურად საუბარზე გადადიან.

ბელგია მრავალფეროვანია რელიგიური ნიშნითაც, აქ მოსახლეობის 50% ქრისტიანია(ძირითადად კათოლიკე და სხვა მცირე ჯგუფები), ისლამს მისდევს 5-7 %, იუდაიზმს 0,4 %, ხოლო დანარჩენი რელიგიის წარმომადგენლები ინდუსები, მორმონები, სიქები და სხვა მხოლოდ 5%. ბელგიის სახელმწიფო აღიარებს ექვს რელიგიას და უზრუნველყოფს მათი ტაძრების მშენებლობას, ესენია: კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი, ანგლიკანიზმი, მართმადიდებლური ქრისტიანობა, ისლამი და იუდაიზმი.

თემა IV

მეურნების ზოგადი მიმოხილვა

4.1 ბელგიის ეკონომიკის ისტორიული განვითარება

ბელგიას აქვს განვითარებული ეკონომიკა, რომელიც დაკავშირებულია სწორად მომუშავე საბაზრო ეკონომიკაზე. მისი ეკინომიკური მუშაობა დამოკიდებულია, როგორც სამრეწველო, ასევე სამომხმარებლო სექტორზე და უმთავრესად სავაჭრო ექსპორტ-იმპორტზე. ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის ორი მესამედი ექსპორტზე მოდის. ბელგია ერთ სულ მოსახლეზე ორჯერ მეტ ექსპორტს აწარმოებს, ვიდრე გერმანია და ხუთჯერ მეტს, ვიდრე იაპონია. მსოფლიოს საუკეთესო ექსპორტიორ ქვეყნებს შორის 1999 წელს ბელგიამ მე-11 ადგილი დაიკავა და მიუხედავად მისი მცირე ზომისა ყოველთვის რჩება საუკეთესო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ოცეულში. ისტორიის მანძილზე ბელგიის ეკონომიკა დამოკიდებული იყო ქვეყნის წარმოებაზე, ასევე ის იყო პირველი ევროპული ქვეყანა, რომელსაც ინდუსტრიული რევოლუცია შეეხო და მე-19 საუკუნეში გახდა ფოლადის მთავარი მწარმოებელი. ქვეყანაში არსებულმა ნახშირის საბადოებმა დააჩქარა ინდუსტრიალიზაცია, ეს მკაფიოდ გამოჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ხოლო მოგვიანებით 2000-იანი წლებიდან მეურნეობა ეკონომიკაშო მხოლოდ მცირე პროცენტს შეადგენდა. დღესდღეობით სოფლის მეურნეობა ძირითადად ლიეჟში, დასავლეთ

ფლანდრიასა და აღმოსავლეთ ნამურშია კონცეტრირებული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში ბელგიაში შემცირდა სამთო მოპოვება და მძიმე მრეწველობა, ამის ნაცვლად გაიზარდა მოთხოვნა მომსახრების სფეროში და ქვეყანა მძიმე მრეწველობიდან მსუბუქზე გადავიდა. ბელგიას არ გააჩნია დიდი წიაღისეული გარდა მცირე ნახშირის საბადოსი, მისი ეკონომიკური სიძლიერე ემყარება მის გეოგრაფიულ მდებარეობას დასავლეთ ევროპის გზაგასაყარზე და განათლებულ სამუშაო ძალაზე. ბელგიამ თავისი ინდუსტრიული წარმოების პერიოდში მნიშვნელოვნად განავითარა სატრანსპორტო მდგომარეობა(გზები, პორტები, არხები). ასევე ქვეყანაში არსებულმა მრავალენოვანებამ და ხალხის შრომისმოყვარეობამ განაპირობა ბელგიის ეკონომიკური პროდუქტიულობა მსოფლიოს მაშტაბით.

1970-იან წლებში დაიწყო ნავთობის კრიზისი და ეკონომიკური ცვლილებები, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი უკუსვლა. 1980-1982 წლებში კი ეკონომიკურმა ვარდნამ პიკს მიაღწია და მასიური უმუშევრობა გამოიწვია. 1900 წელს ბელგიამ საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით თავისი ფულის ერთეული ფრანკი გერმანულ მარკას დაუკავშირა. ამ ნაბიჯის შედეგად 1992-93 წლებში ბელგიის ეკონომიკამ შედარებით ამოისუნთქა, თუმცა მოგვიანებით ახალმა ინფლაციის ტალღამ გამოიწვია ეკონომიკის კვლავ შემცირება, ამ პერიოდში მშპ 1,7%-ით დაეცა. ამ მდგომარეობას ქვეყანა უცხოური ინვესტიციების მეშვეობით გაუმკალვდა, ამიტომ ყოველთვის ცდილობენ ახალი იდეები წაახალისონ. 1993 წლიდან რეგიონების უკეთ განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისთვის, თითოეულ რეგიონს მიენიჭა უფლება ეკონტროლებინა ვაჭრობა, ინდუსტრიული განვითარება და გარემოდაცვითი რეგულაციები. ამის შემდეგ თითოეული რეგიონი ცდილობდა მეტი უცხოური ინვესტიციის შემოდინებას, თუნდაც სხვა რეგიონის საზიანოდ. ქვეყანა ასევე ცდილობდა სახელწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიები ჩაერთო უცხოურ ინვესტიციებში და მოეხდინა პრივატიზაცია. უმეტესად ორი მსხვილი კომპანიის Sabena-ს(ეროვნული ავიაკომპანია) და Belgacom-ის (საკომუნიკაციო კომპანია) ჩართვას ცდილობდნენ. 1993 წლიდან მოყოლებული სახელმწიფომ შეძლო 280 ბელგიური ფრანკის ღირებულების ბიზნესის პრივატიზაცია. ბელგიის ეკონომიკაში ბევრი რამ შეიცვალა მეორე მსოფლი ომის შემდეგ, მან მრავალ დაბრკოლებას და ცვლილებას გაუძლო, ხოლო შემდეგ გაძლიერდა იმდენად, რომ თავად გახდა ევროპის ერთ- ერთი ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა, რომლის იმედიც ახლა სხვა სახელმწიფოებს აქვთ.

4.2 მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა და ფორმირება

ბელგიის შიდა პროდუქტი 2023 წლის მონაცემებით $624 მილიარდია, მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით კი $766 მილიარდი. მსოფლიო ქვეყნებს შორის მშპ-ს რაოდენობით 24-ე ადგილს იკავებს, პარიტეტის მსოფლიო მონაცემებით კი 37-ეს. მშპ 2022 წლის ინფორმაციით გაიზარდა 3.1%-ით. მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს $53,377 მილიარდს, ამ მონაცემით ბელგია მსოფლიოში მე-16 ადგილს იკავებს. მსოფლიო პარიტეტის ანალიზით მშპ ერთ სულ მოსახლეზე $65,501 მილარდია და მე-19 ადგილს იკავებს ქვეყნებს შორის. მშპს განაწილება სექტორებში შემდეგნაირია: აგროკულტურები 0,7%, ინდუსტრია 22,1%, ხოლო სერვისების წილი 77.2%. ორი ათეული წლის წინ ბელგიის შიდა პროდუქტის მონაცემები ბევრად განსხვავდებოდა დღევანდელისგან. 2000 წელს მშპ უდრიდა $236,897 მილიარდ დოლარს და 195 ქვეყანას შორის მე19 ადგილს იკავებდა. მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კი 2000 წელს ბელგიას $23,137 და 24-ე ადგლს იკავებდა ქვეყნებს შორის.



გრაფიკი 2: ბელგიის მთლიანი შიდა პროდუქტი $-ში(ავტორის მიერ)



დიაგრამა 2: ბელგიის მშპ ეკონომიკური სექტორის მიხედვით %-ში(ავტორის მიერ)

დიაგრამა 2-ზე დაკვირვების შედეგად შემიძლია ვთქვა, რომ ბელგიის მთლიანი შიდა პროდუქტის უმეტესი ნაწილი მოდის სამომხმარებლო სექტორზე თითქმის 70 %, შემდეგ ადგილს ინდუსტრია იკავებს და მიახლოებით 20 % მოიცავს, ყველაზე მცირე ნაწლი კი სასოფლო-სამეურნეო სექტორია, რომელიც დიაგრამაზე თითქმის არ ჩანს, მისი პროცენტული რაოდენობა 1-ს ძლივ აღწევს.

2

[2] დამატებითი წყარო
https://www.statista.com/statistics/328691/share-of-economic-sectors-in-the-gdp-in-belgium/
https://www.macrotrends.net/countries/BEL/belgium/gdp-gross-domestic-product
https://countryeconomy.com/gdp/belgium?year=2000&fbclid=IwAR34j2gnZHLJV51dxp-V1AoxMvuh52_rLFwIV9HjfVONmOCkLc9gCVAXPaA

თავი V

მეურნეობის სექტორული ანალიზი

5.1 პირველადი სექტორი

წინა თავში უკვე განვიხილეთ ბელგიის რესურსები და მთლიანი შიდა პროდიქტი. ახლა კი მინდა ვისაუბრო სექტორულ განაწილებაზე. თავდაპირველად საუბარს დავიწყებ პირველად სექტორზე, სადაც შედის აგროკულტურა, მეტყევეობა, მეთევზეობა და სამთო-მოპოვებითი მრეწველობა. ბელგიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2022 წელს გაიზარდა ენერგეტიკისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ხარჯები, რამაც თავისთავად გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის სექტორზე. მონაცენების თანახმად მოხმარება გაიზარდა 23,3%-ით, ხოლო წარმოების ღირებულება 19,5%-ით. 2022 წელს ასევე შესამჩნევი გახდა მარცვლეულის ღირებულბის ზრდაც (26,8%), ამასთან ბელგიის მარცვლეულის დონე დაუბრუნდა უკარაინაში რუსეთის შეჭრამდე არსებულ მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის წარმოება შედარებთ მცირეა, ის მაინც ახერხებს იყოს ევროპის მაშტაბით მომგებიანი.



დიაგრამა 3: ბელგიის აგროკულტურის წარმოება(ავტორის მიერ)

ბელგიის პირველად სექტორში ასევე მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს მეთევზეობა, 2022 წლის მონაცემებით პორტებში გაიყიდა 13,217 ტონა თევზი, ეს ბელგიის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 11% იან ზრდას ნიშნავს. გემების ასეთმა მუშაობამ 79,5 მილიონი ევრო აწარმოა, რაც 30,7%-იან ზრდას ნიშნავს. ბელგიური გემების მთავარი სამიზნე თევზია ძირი(Sole) და კუპი(cuttlefish). ამ უკანასკნელის დაჭერის რაოდენობამ 2033,5 ტონას მიღწია და 103,8%-იანი ზრდა აჩვენა. კუპი ბელგიაში ადვილად მოსაპოვებელი თევზია, რაც მეთევზეებს მუდმივი შემოსავლის წყაროთი უზრუნველყოფს. ბელგიაში მოპოვებული თევზი რეალიზდება, როგორც ქვეყანაში ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ტყის ფართობი არის მიწის ნაკვეთი, რომელზეც არის ბუნებრივად ამოსული ან ხელოვნურად დარგული მცენარეები, არანაკლებ 5 მეტრის რადიუსისა. მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად ბელგიაში ტყის ფართობი შეადგენს 22,76 პროცენტს 2020 წლის მდგომარეობით. ტყეების უმრავლესობა თითქმის 78,6% განთავსებულია ვალონიის რეგიონში. ტყის ფართობის 51% უკავია ფართოფოთლოვან ტყეებს ხოლო 49% წიწვოვანს. ბელგია ცდილობს მცენარეული საფარის აღდგენას და ჟანგბადის ზრდას, ამიტომ ხე-ტყის წარმოება აღარ წარმოადგენს მისთვის მნიშვნელოვან ინდუსტრიას.

ბელგია თავისი ისტორიის მანძილზე იყო ევროპის მაშტაბით წამყვანი მწარმოებელი სამთო-მოპოვებითი მრეწველობის განხრით. იგი მე-12 საუკუნიდან მოყოლებული ქვანახშირის მსხვილი მწარმოებელი იყო, ასევე ქვეყანა განთქმული იყო ლურჯი კირქვით, რომელსაც მეორენაირად „პეტი გრანიტი“ ეწოდებოდა. ბელგია გამოირჩეოდა მარმარილოს ქვის მრავალფერონებით(წითელი, შავი, ნაცრისფერი), მარმარილოს კარიერები განთავსებული იყო ვალონიის რეგიონში. სამრეწველო მასალებიდან ბელგია აწარმოებდა სილიციუმის ქვიშას, კარბონატებს, დოლომიტის, კირქვა და ა.შ. [3]

2001 წელს დიდი ეკონომიკური წვლილი შეიტანა მინერალების გადამუშავებამ, როგორიცაა თუთია, სპილენძი და ფოლადი, მათგან ყველა გადიოდა იმპორტზე. ბელგიის მონაცემები წაროების საკითხში 2001 წელი საკმაოდ მაღალი იყო პირველადი

[3] დამატებითი წყარო
https://statbel.fgov.be/en/themes/agriculture-fishery/economic-accounts-agriculture

თუთია 230 000 მლნ ტონა, მეორადი სპილენძი 139 000 მილიონი ტონა, დოლომიტი 1,7 მლნ ტონა და ა.შ. როგორც უკვე ავღნიშნე ბელგია ქვანახშირს აწარმოებდა მრავალი წლის მანძილზე სანამ 1992 წელს ბოლო მაღარო სამბრე-მეუზის ხეობაში არ დახურეს. რაც შეეხება სამთო აქტივობას 1978 წელს რკინის საბადო დაიხურა, რომელიც მდებარეობდა მესუნსა და ჰალაზინში. მიუხედავად ისტორიისა დღესდღეობით ბელგიის სამთო-მოპოვებითი სექტორი ეკონომიკურ ზრდას უბრუნდება. ბოლო 2022 წლის მონაცემებით სამთო მოპოვებითმა სექტორმა, რომელიც მოიცავს ალუმინს, რკინას, ფოლადსა და ქვანახშირს წლიურად გამოიმუშავა 9,749,2 მილიონი აშშ დოლარი, რაც გახლავთ 12 %-იანი ზრდა წინა წლებთან შედარებით. ასეთი ზრდის გამო კომპანიები ცდილობენ გააუმჯობესონ ეკონომიკური სტრატეგიები და აითვისონ ციფრული ოპტიმიზაცია ბაზრიდან მაღარომდე და შექმნან ახალი ენერგეტიკული მომავალი.

5.2 მეორადი სექტორი

  წინა თავში უკვე ვისაუბრე პირველად სექტორზე, ახლა კი მინდა გადავიდე მეორად სექტოზე, სადაც საუბარია მრეწველობაზე, ტრასპორტსა და მშენებლობაზე. როგორც მოგეხსენებათ ბელგია მაღალურბანიზებული ქვეყანაა, ამიტომ მისი სამშენებლო სექტორი ეკონომიკისთვის მნივნელოვან ნაწილს წარმოადგენს. 2022 წლის მონაცემებით სამშენებლო სექტორმა განიცადა 2,4%-იანი ზრდა, თუმცა ეს მაჩვენებელი 3,4%-ით დაბალია პანდემიამდელ დონეზე, რის ზრდასაც კიდევ რამოდენიმე წელი დასჭირდება. 2021 წელს ბელგიამ სამშენებლო სექტორში მეზობელ ქვეყნებს აჯობა და გაიზარდა 2,9 %-ით. მეზობელი ქვეყნების მონაცები იყო საფრანგეთში(-0,5%), ხოლო გერმანიში(-0,7%).



გრაფიკი 3: ბელგიის ეკონომიკა და სამშენებლო სექტორი

წყარო:(https://think.ing.com/articles/belgian-construction-sector-faces-difficult-year/)

ბელგია არის ქვეყანა, რომელიც თავისი მდებარეობის გამო ევროპაში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სატრანსპორტო ცენტრს. ქვეყანას აქვს კარგად განვითარებული სატრანსპორტო სისტემა, რაც მოიცავს გზებს, პორტებს, აეროპორტებს, რკინიგზას და ა.შ. ამ ყველაფრის მეშვეობით შესაძლებელია მარტივი და სწრაფი გადაადგილება ევროპის სხვა ქვეყნებში, მაგ: საფრანგეთში მატარებლით მგზავრობას 90 წუთი სჭირდება, ამსტერდამამდე 113 წუთი, ლონდონამდე კი 111 წუთი. ბელგიის სატრანსპორტო სისტემაში გამოირჩევა საზღვაო პორტები, აქ მდებარეობს მსოფლიოში სიდიდით მეოთხე, ხოლო ევროპაში მეორე საზღვაო პორტი ანტვერპენი. ბელგიის სატრანსპორტო ქსელით ხდება ტვირთის გადაზიდვა, 2021 წლის მონაცემებით სატრანსპორტო საშუალებებით გადაიტანეს 278 მილიონი ტონა საქონელი, რაც 2020 წელთან შედრებით 1,4%-იან ზრადას გულისხმობს. საბოლოოდ ვიტყვი, რომ ბელგიას აქვს კარგად განვითარებული სამშენებლო და სატრანპორტო სისტემა, რომელიც თავისმხრივ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

5.3 მესამეული სექტორი

მესამეული სექტორი წარმოადგენს თანამედროვე სამყაროს განვითარების წერტილს, რასაც არ ჩამორჩება ბელგია და შეიძლება ითქვას ერთ-ერთი მოწინავეცაა. მესამეულ

სექტორში შედის საბანკო საქმიანობა, საცალო ვაჭრობა, ტურიზმი, მედია, სოციალური მომსახურება, სამეცნირო კვლები და სხვა მრავალი. ბელგიის საბანკო საზოგადოება ხასიათდება საკმაო მრავალფეროვნებით, აქ არის 4 წამყვანი ბანკი KBS, Belfus, BNP Paribas Portis და ING Belgium. ეს ბანკები ქვეყანას სთავაზობენ მომსახურების ფართო სპექტრს კერძო ბანკინგის, კორპორატიულ ფინანსებსა და საცალო საბანკო სფეროში. ბელგიის საბანკო სისტემა გაორჩვეა საერთაშორისო დონეზე ღიაობით. 2021 წლის დეკემბრის მონაცემებით ბელგიის 81 ბანკიდან 80,2% წარმოადგენდა უცხოური საბანკო ფილიალებს ან მათ შვილობილ კომპანიებს.

ტურიზმი ყველა ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და გამონაკლისი არც ბელგიაა. ბელგიის ტურიზმი გადანაწილებულია ფლანდრიის, ვალონიის და ბრიუსელის რეგიონებში. 2016 წლის მონაცემებით ტურიზმის წვლილი ფლანდრიაში 4,3% იყო, ბრიუსელში 5,3%, ხოლო ვალონიაში 4,1%. ქვეყნის ტურისტულ სექტორზე დიდი გავლენა იქონია COVID-19-ის პანდემიამ, შესაბამისად ტურისტების რაოდენობა შემცირდა 73%-ით და 1,8 მილიონს გაუთანაბრდა. მოგვიანებით 2021 წელს ტურიზმის სფერომ შედარებით ამოისუნთქა და 2.3 მილიონი გახდა. ამავე პერიოდში გაიზარდა ვიზიტორების რაოდენობა მეზობელი ქვეყნებიდან, ყველაზე მეტი ტურისტი შემოვიდა გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ნიდერლანდებიდან.

ბელგიის საცალო ვაჭრობის გაყიდვები ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა და 2020 წელს წლიურმა ბრუნვამ 500 მილიონ ევროზე მეტს მიაღწია. წინა პერიოდისთვის ბელგია 128 ათასი საწარმო ქონდა, რომელიც მოიცავდა საავტომობილო და მოტოციკლეტების ინდუსტრიას, ხოლო საცალო ქსელები და მაღაზიები 1.600 იყო. ბელგიის მასმედია განსხვავდება სხვა ევროპული ქვეყნისაგან, აქ არის ფლანდრიული, ფრანგული და გერმანულ ენოვანი მოსახლეობა, ამიტომ თითოეულ მადგანს ემსახურება ცალკეული საჯარო და კერძო მედია ოპერატორი. ბელგიის ყველაზე დიდი კერძო მედია ჯგუფია De Persgroep. გლობალური მედიის დამკვირვებლების თქმით ბელგიის პრესა თავისუფალი და დამოუკიდებელია. მასმედიის მთავარი ღირსება არის ინფორმატორის კომფიდენციალურობის დაცვა.

ბელგია არის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა მეცნიერებაში, აქ ძირითადი ყურადღება ეთმობა ისეთ დარგებს როგორიცაა ბიოქიმია, მედიცინა , ასტრონომია და სტატისტიკა. ქვეყანა აქტიურად არის ჩართული ანტარქტიდის კლიმატის, კოსმოსის და ჩრდილოეთ ზღვის კვლევებში. ბელგიელი მეცნიერებით დაინტერესებული არიან სხვა ქვეყნები და ასვე უცხოელ სტუდენტებს სურთ შეუერთდნენ ბელგიელი მეცნიერების რიგს. სამეცნიერო სფეროთი ამაყი ბელგია, არც გართობის სფეროს უჩივის. აქ შესაძლებელია ყველა ასაკის ადმიანისთვის შესაფერისი გართობის სფეროს მოძებნა. ბელგიის დედაქალაქი ბრიუსელი განსაუთებით ამაყია ღამის ცხოვრების და გასართობების მრავალფეროვნებით, ამ კოსმოპოლიტენურ ქალაქში ნამდვილად არ მოიწყენთ.

თემა VI

ქვეყნის ადგილი გლობალურ სისტემებში და სტრუქტურებში

ბელგია არის ევრიპის ქვეყანა, რომელიც გაწევრიანებულია უამრავ საერთაშორისო ორგანიზაციაში და ზოგიერთ შემთხვევაში ერთ-ერთი დამფუძნებელიცაა. საერთაშორისო ორგანიზაცია NATO (ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) დაარსდა 1949 წელს, სადაც შედის ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპის 28 ქვეყანა, მათ შორის არის ბელგიაც, რომლის დედაქალაქ ბრიუსელშიც მდებარეობს მისი შტაბ ბინა. ბელგია ასევე შედის ბენილუქსის ქვეყნების გაერთიანებაში(ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი), რომლის მთავარი დამფუძნებელი თავადაა, იგი ასევე შედის მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციაში(WCO), რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ კეთილდრეობასა და საზოგადოების დაცვას. კიდევ ერთი ორგანიზაცია, რომლის ოფისი მდებარეობს ბრიუსელში არის ევროპის საბჭო. ევროსაბჭო დაარსდა 1949 ლის 5 მაისს, დამფუძნებელი ქვეყნის რაოდენობა შეადგენდა ათს, ახლა კი 47 ქვეყანაა. ევროსაბჭოს ევალება შექმანს დემოკრატიული და სამართლიანი სივრცე. ბელგია ასევე გაწევრიანებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომელიც დაარსდა 1945

წელს. ევროპის ეს პატარა ქვეყანა კიდევ უამრავ საერთაშორისო ორგანიზაციაში შედის, როგორიცაა: UNESCO(გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია), UNHCR(გაეროს ლტოლვილთა, უმაღლესი კომისი), UNICEF(გაეროს ბავშვთა ფონდი), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვა მრავალი.

ჰუმანური განვითარების ინდექსი არის შეჯამება სამ განზომილებას შორის, ეს არის მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ცოდნის მიღების შესაძლებლობა და ცხოვრების დონე. ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით ბელგია ერთ-ერთ მაღალ საფეხურზე დგას. მისი ინდექსი 2021 წლის მონაცემებით 0,937-ია. იგი ამ მონაცემით 191 ქვეყანას შორის მე-13 ადგილს იკავებს. 1990-2021 წლების მანძილზე ბელგიის მონაცემი ამ კატეგორიაში 14,8%-ით შეიცვალა. სიცოცხლის ხანგრძლივობა შეიცვალა 5,3 წლით. რაც შეეხება სხვა ინდექსებს, დემოკრატიულობის ინდექსით ბელგიას „ჩავრდნილი დემოკრატია“ ეწოდა. ეს ნამდვილად უჩვეულოა იმ ქვეყნისთვის, რომელიც ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყანად ითვლება. ამ მონაცემის თანახმად ბელგიამ დაიკავა 37-ე ადგილი 167 ქვეყანას შორის, 7,51 ქულით 2021 წელს. ამავე წლის გამოკითხვებით მხოლოდ 21 ქვეყანამ მოახერხა „სრული დემოკრატიის“ ჩვენება, მათ შორის იყვნენ იტალია, ესპანეთი, აშშ და საფრანგეთი. ბედნიერების ინდექსი არის ანგარიშის ნაწილი, სადაც მოსახლეობა აღწერს ცხოვრების ხარისხს 0-დან 10-ამდე შკალით. ბელგიის მონაცემები არის 2013 წლიდან 2022 წლამდე, ამ დროის მანძილზე მინიმალური ქულა იყო 6,8 ქულა 2021 წელს და უდიდესი 6,97 ქულა 2013 წელს. უახლესი 2022 წლის მდგომარეობით ბედნიერების ინდექსი ბელგიაში არის 6,86 ქულა.

მთლიანი ნაშრომი ეხება ბელგიის ინფორმაციის ანალიზს, ახლა კი მინდა მისი ძირითადი მონაცემები შევადარო მეზობელი გერმანიის მნიშვნელობებს. თავდაპირველად ვიტყვი რომ ბელგიისგან განსხვავებით გერმანიის ტერიტორია ბევრად დიდია. ბელგიის ფართობი უდრის 30, 530 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო გერმანიის 357,580კვ.კმ-ს. ორივე სახელმწიფო ფედერალური რესპუბლიკაა, თუმცა ბელგიაში გერმანიისგან განსხავევბით მონარქი ყავს(კონსტიტუციური მონარქია). მოსახლეობის რაოდენობა გერმანიაში უდრის 83,196,000 მილიონ ადამიანს, ბელგიის მოსახლეობა კი 11,593,000 მილიონია. მოსახლეობის სიმჭიდროვიე ბელგიაში უდრის 379.7 ადამიანს ერთ

კვადრატულ კილომეტრზე, რაც მეტია გერმანიის მაჩვენებელზე რაც არის 232.7 ადამიანი 1კვ.კმ-ზე. საშუალო ასაკის მაჩვენებლით ბელგია რამოდენიმე წლით ჩამორჩება გერმანიას. საშუალო ასაკი გერმანიაში 47,8 წელია, ბელგიაში კი 41,6 წელი. სიცოცხლის ხანგრძლივობა ბელგიაში უდრის 80-ს მამაკაცებში, ხოლო 84-ს ქალებში, გერმანიის მაჩვენებელი მამკაცებში 79 წელი, ქალებში კი 83 წელი. მთლიანი შიდა პროდქტის მაჩვენებელი გერმანიაში 4,259,935 მილონი დოლარია, ბელგიაში კი 594,104 მილიონი დოლარი, მშპ-ს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე ორივე ქვეყანაში იგივეა $51. 20 მილიონი. 2021 წლის მონაცემებით ჰუმანური განვითარების ინდექსი გერმანიაში 0.94-ია, ბელგიაში კი 0.93, ამ შემთხვევაში ორივე ქვეუნის მაჩვენებელი თითქმის იდენტურია. დაახლოებით მსგავსია დემოკრატიულობის ინდექსიც, ბელგია 0,92 და გერმანია 0.94. ქვეყნების შედარებიდან ჩანს, რომ მიუხედავად ტერიტორიის განსხვავებისა ბელგია და გერმანია სხვადასხვა მაჩვენებლებით მსგავსია. ბელგიაში სიმჭიდროვე მეტია, რადგან ქვეყნის ფართობი მცირეა და მოსახლეობას უწევს კომპაქტურად განთავსება. მშპ-ს მონაცემები 1 სულ მოსახლეზე თანაბარია, თუმცა საერთო მაჩვენებელით გერმანია ბევრად წინ უსწრებს ბელგიას. საერთო ჯამში ევროპის ორივე ქვეყანა, მიუხედავად განსხვავებებისა განვითარების მაღალ დონეზეა.



დიაგრამა 5: ბელგიის ადამიანის განვიტარების ინდექსი(ავტორის მიერ)



დიაგრამა 6: ბელგიის ბედნიერების ინდექსი(შესრულებული ავტორის მიერ)[4]

გამოყენებული ლიტერატურა

1. One World Nations Online: (Copyright 1998-2018)- (https://www.nationsonline.org/oneworld/belgium.htm)
2. culture trip- Belgium: A Brief History Of How It All Began(https://theculturetrip.com/europe/belgium/articles/belgium-a-brief-history-of-how-it-all-began/)
3. Belgium.be:(Copyright 2023)- (https://www.belgium.be/en/about_belgium/government/federale_staat/structure)
4. Mappr:Regions of Belgium(Copyright 2023)-(https://www.mappr.co/counties/belgium-regions/)

[4] დამატებითი წყარო
https://be.brussels/about-the-region/international-brussels/international-institutions-in-brussels
https://www.theglobaleconomy.com/Belgium/human_development
https://hdr.undp.org/data-center/specific-country-data#/countries/BE

5. European Union: Belgium-(https://european-union.europa.eu/principles-countries-history/country-profiles/belgium_en)
6. globalEDGE: Belgium: Government(2023)-(https://globaledge.msu.edu/countries/belgium/government)
7. EXPATICA: Government and politics in Belgium(11/05/2023)-(https://www.expatica.com/be/living/gov-law-admin/belgium-government-106909/)
8. Cedefop: Belgium(2023)-(https://www.cedefop.europa.eu/en/countries/belgium)
9. WorldAtlas: What Are The Major Natural Resources Of Belgium(December 13 2018)-(https://www.worldatlas.com/articles/what-are-the-major-natural-resources-of-belgium.html)
10. Beertourism: Geography of Belgium(2023)-(https://www.beertourism.com/blogs/about-belgium/geography-of-belgium)
11. WATER ACTION HUB: Belgium(February 28, 2022, Leonardo Rodriguez)-(https://wateractionhub.org/geos/country/22/d/belgium/)
12. mapsofworld.com: Belgium Mineral Map(2023)-(https://www.mapsofworld.com/belgium/belgium-mineral-map.html)
13. mapsofworld.com: Belgium Rivers Map(2023)-(https://www.mapsofworld.com/belgium/belgium-river-map.html)
14. European Commission: Population: demographic situation, languages and religions(9 June 2022)-(https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/belgium-french-community/population-demographic-situation-languages-and)
15. STATBEL Belgium in figures: Structure of the Population(2017)-(https://statbel.fgov.be/en/themes/population/structure-population#:~)
16. THE BRUSSELS TIME: Belgium sees 'exceptional' population growth due to war in Ukraine(1 February 2023 By Lauren Walker)-(https://www.brusselstimes.com/362159/belgium-sees-exceptional-population-growth-due-to-war-in-ukraine)

17. Worldometer: Belgium Demographics(2020)-(https://www.worldometers.info/demographics/belgium-demographics/)
18. PopulationPyramid.net: Population Pyramids of the World from 1950 to 2100(2023)-(https://www.populationpyramid.net/belgium/2020/)
19. KNOEMA: Belgium - Urban population as a share of total population(2022)-(https://knoema.com/atlas/Belgium/Urban-population)
20. STATBEL Belgium in figures: Employment and unemployment(2017)-(https://statbel.fgov.be/en/themes/work-training/labour-market/employment-and-unemployment)
21. World Directory of Minorities and Indigenous Peoples: Minorities and indigenous peoples in
22. Belgium(May 2020)-(https://minorityrights.org/country/belgium/)
23. EXPATICA: The languages of Belgium(30/03/2023 Written by Sarah Harvey)-(https://www.expatica.com/be/education/language-learning/languages-in-belgium-108554/)
24. STATBEL Belgium in figures: Employment mainly in the service sector(1 May 2018)-(https://statbel.fgov.be/en/news/employment-mainly-service-sector)
25. Nations Encyclopedia-Belgium - Overview of economy(2023)-(https://www.nationsencyclopedia.com/economies/Europe/Belgium-OVERVIEW-OF-ECONOMY.html#:~)
26. Statista-Belgium: Distribution of gross domestic product (GDP) across economic sectors from 2011 to 2021(Aaron O'Neill, May 12, 2023-(https://www.statista.com/statistics/328691/share-of-economic-sectors-in-the-gdp-in-belgium/)
27. Macrotrends-Belgium GDP 1960-2023(2023)-(https://www.macrotrends.net/countries/BEL/belgium/gdp-gross-domestic-product)

28. Contryeconomomy.com-Belgium GDP –Gross Domestic product(2000)-(https://countryeconomy.com/gdp/belgium?year=2000&fbclid=IwAR34j2gnZHLJV51dxp-V1AoxMvuh52_rLFwIV9HjfVONmOCkLc9gCVAXPaA)
29. ClimateChangePost: Forestry and Peatlands Belgium (June 5, 2023)-(https://www.climatechangepost.com/belgium/forestry-and-peatlands/)
30. Statista-Belgium: Economic accounts for agriculture (April 17, 2023)-(https://statbel.fgov.be/en/themes/agriculture-fishery/economic-accounts-agriculture)
31. Statista-Belgium: Belgian sea fishing recovers in 2022(March 21,2023)-(https://statbel.fgov.be/en/news/belgian-sea-fishing-recovers-2022-increase-landings-and-prices)
32. Belgium – Mining(2023)-(https://www.nationsencyclopedia.com/Europe/Belgium-MINING.html)
33. Market Reserche.com: Belgium Metals and Mining Market Summary(February,2023)-(https://www.marketresearch.com/MarketLine-v3883/Belgium-Metals-Mining-Summary-Competitive-34003835/)
34. ING-Belgian construction sector faces a difficult year (march13, 2023, Wouter Thierie)-(https://think.ing.com/articles/belgian-construction-sector-faces-difficult-year/)
35. STATBEL Belgium in figures: Road freight transport(27 October 2022)-(https://statbel.fgov.be/en/themes/mobility/transport/road-freight-transport)
36. Buisnes.belgium.be: Transport and logistics(2023 Belgian Federal Government)-(https://business.belgium.be/en/investing_in_belgium/key_sectors/transport_and_logistics)
37. Be. Brussel: International institutions in Brussels(2023)-(https://be.brussels/about-the-region/international-brussels/international-institutions-in-brussels)
38. THE BRUSSEL TIMES: Belgium labelled 'failing democracy' in democracy index (11 February 2022 By Helen Lyons)- (https://www.brusselstimes.com/205831/belgium-called-a-failing-democracy-in-democracy-index)

39. GlobalEconomy.com: Belgium: Happiness index(Copyright 2023)-(https://www.theglobaleconomy.com/Belgium/happiness/)
40. GlobalEconomy.com: Belgium: Human development (Copyright 2023)-(https://www.theglobaleconomy.com/Belgium/human_development)
41. Human Developmant Report: BELGIUM(September 8th, 2022)- (https://hdr.undp.org/data-center/specific-country-data#/countries/BE)
42. Belgium(2021)-(https://www.ebf.eu/wp-content/uploads/2022/12/ff-be-22.pdf)
43. Belgium Retail Sales Growth(2023)-(https://www.ceicdata.com/en/indicator/belgium/retail-sales-growth)
44. Statista: Retail & Trade Retail trade in Belgium (D. Tighe, Aug 24, 2022-(https://www.statista.com/topics/8054/retail-trade-in-belgium/#topicOverview)
45. OESDilibrary: Belgium Tourism in the economy and outlook for recovery (2022)-(https://www.oecdilibrary.org/sites/b1d6e432en/index.html?itemId=/content/component/b1d6e432-en)
46. Belgium media guide Published(13 December 2022)-(https://www.bbc.com/news/world-europe-17208922)
47. Science in Belgium(2023)-(https://www.belgium.be/en/about_belgium/country/science)
48. Entertainment in Belgium(2023)-(https://www.angloinfo.com/how-to/belgium/lifestyle/entertainment)
49. Belgium (Jun 29, 2023)-(https://www.britannica.com/place/Belgium)
50. Country comparison(2023)-(https://www.worlddata.info/country-comparison.php?country1=BEL&country2=DEU)